KA020194598530119

საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

0114 თბილისი, სანაპიროს ქ. №2
2, Sanapiro str., 0114 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 2 99 11 05
Tel.: (+995 32) 2 99 11 11

№ 06/8117 **08 / ოქტომბერი / 2019 წ.**

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ განიხილა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიმდინარე წლის 24 სექტემბრის N01/36668 წერილით წარმოდგენილი „კატარის სახელმწიფოს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შორის ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით თანამშრომლობის შესახებ“ ურთიერთგაგების მემორანდუმის პროექტი.

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიზანშეწონილად მიაჩნია, ამოღებულ იქნეს მემორანდუმის პროექტის პირველი მუხლის პირველ პუნქტში არსებული ჩანაწერი, რომელიც შეეხება საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში თანამშრომლობას, რადგან იგი სცდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპეტენციას. ამდენად, ხსენებული მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

1. კვლევა ჯანმრთელობის დაცვის სისტემების სფეროში და პირველადი ჯანდაცვის სისტემების დანერგვაში, ასევე თანამშრომლობა ელექტრონული ჯანდაცვის საკითხებზე.

მინისტრის მოადგილე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გენადი არველაძე